

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N10 – Tskapp აპლიკაცია

1. **Tskapp აპლიკაციის** საშუალებით **კლიენტს** საშუალება აქვს განახორციელოს შემდეგი სახის **ოპერაციები**:
 - 1.1. უკონტაქტო გადახდა ტერმინალის საშუალებით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში. ამასთან, **კლიენტს** საშუალება აქვს გადახდისას აირჩიოს მისთვის სასურველი **ბარათი**, რომელითაც სურს გადახდა.
 - 1.2. **Tskapp აპლიკაციაში** განუსაზღვრელი რაოდენობის **ბარათების** დამატება.
 - 1.3. **ანგარიშზე** არსებული ნაშთის შემოწმება.
 - 1.4. შესრულებული გადახდების შესახებ **ამონაწერის** ნახვა.
2. **Tskapp აპლიკაციის** გამოყენება შეუძლიათ იმ **კლიენტებს**, რომლებიც ფლობენ:
 - 2.1. ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე (4.4 ან უფრო ახალი ვერსია) მომუშავე სმარტფონს, NFC მხარდაჭერით.
 - 2.2. **ბანკის** დისტანციური არხის (**ინტერნეტ ბანკი/მობილ ბანკი**) მომხმარებლის სახელს და პაროლს.
 - 2.3. **ბანკის** მინიმუმ ერთ აქტიური VISA ან MASTERCARD ტიპის **ბარათს** (გარდა Visa Electron და Ciruss Maestro ბარათებისა).
3. **Tskapp აპლიკაციის** საშუალებით, VISA-ს ტიპის **ბარათით** გადახდისას 45 ლარამდე არ მოითხოვება **ბარათის** პინ კოდი, ხოლო Mastercard-ის ტიპის **ბარათით** გადახდისას პინ კოდის შეყვანა აუცილებელია ნებისმიერ თანხაზე.
4. **Tskapp აპლიკაციის** ჩამოტვირთვა და განახლება შესაძლებელია განხორციელდეს Google Play Store-იდან.
5. **Tskapp აპლიკაციის** გასააქტიურებლად საჭიროა:
 - 5.1. **კლიენტი** დაეთანხმოს **Tskapp აპლიკაციით** სარგებლობის წესებსა და პირობებს.
 - 5.2. **კლიენტმა** შეიყვანოს მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელსაც იგი იყენებს **ბანკის** დისტანციური არხებით (**ინტერნეტ ბანკი/მობილ ბანკი**) სარგებლობის დროს. თუ მომხმარებელს არ აქვს შესაბამისი სახელი და პაროლი უნდა მოხდეს აქტივაცია.
 - 5.3. **კლიენტმა** დაადასტუროს **Tskapp აპლიკაციის** აქტივაცია სმს-ით ან **დიჯიტასით** მიღებული ერთჯერადი კოდით.
 - 5.4. **კლიენტმა** აკრიფოს სასურველი ოთხ ნიშნა კოდი, რომელსაც გამოიყენებს **Tskapp აპლიკაციაში** შესასვლელად.
 - 5.5. **კლიენტმა** აირჩოს ძირითადი **ბარათი**, რომლის საშუალებითაც შეასრულებს გადახდას.